**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

ხეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892


**ეკატერინე ავეტიქას ასული, გრიგოლ და მნაცაკან იაგორის ძენი, მიხეილ გრიგოლის-ძე ფრიდონოვები** და **ბარბარე გრიგოლის აიული თუმანოვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა თვისისა, მეორენი მამისა და დანარჩენნი—ძმისას **იაგორ გრიგოლის—ძის ფრიდონოვისასა**, რომელიც მიიცვალა ტფილისში, 2 თებერვალს. პანაშვიდი იქნება გადახდილი ოთხშაბათს, 5 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, გარდაცვალებულის სახლში: სერგიევის ქუჩა, საკუთარი სახლი. მიცვალებულს დაასაფლავებენ ხუთშაბათს, 6 თებერვალს, ნორაშენის ეკკლესიის გალავანში. მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ მისის სადგომიდგან, დილის $10^1/_2$ საათზედ, ხოლო-უკანასკნელი პანაშვიდი ლიტიითურთ გადახდილი იქნება დილის 10 საათზედ. (2—1)


ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 5 თებერვალს

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ

ქართულ დრამატ. საზ. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად:

**ყაჩაღები**

დრამა შილერისა 5 მოქმედ. თარგ. ნ. ავალიშვილის მიერ

ფრანც. მორის როლს შეასრულებს—ალექსი მესხიშვილი, კარლოსისას—ვალ. გუნია.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ქართველთა ამხანაგობის მაღაზიას გარდაეცა

**მესამე და უკანასკნელი ათასი**

**კედლის ქართული კალენდარი 1892 წ.**

ფასი 40 კ.

(5—0—2


## ახალი ამბავი

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ჩვენი პოეტი აკაკი, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა პეტერბურგიდგან.

*** ბ-ნ მ. ბალანჩივაძეს რომანსები, რომელიც ამას წინად „ივერიაშიაც“ მოვიხსენიეთ, სახელდობრ: „შენ გეტრფი მარად“ და „ნანა, შვილო!“, როგორც შევიტყეთ, უკვე მიუღიათ ტფილისში და ისყიდება ლანკოს სამუსიკო მაღაზიაში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თითო ათ-ათ შაურად.

*** ამ ჟამად, როგორც გვიამბეს, სამი ქართული მოთხრობაა გადათარგმნილი რუსულად და წარდგენილი დასაბეჭდად სხვა-და-სხვა გაზეთის რედაქციებში. ერთი „კაცია-ადამიანი“ ილია ჭავჭავაძისა, მეორე—„ჩემო შვინდავ“ შ. არაგვისპირელისა, ორ ფელეტონად დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში წარსულს ზაფხულს და „ღვინია გადაიჩეხა“ ეკ. გაბაშვილისა, დაბეჭდილი ვალ. გუნიას „საქართველოს კალენდარში“ 1890 წლისათვის.

*** ამ ერთის თვის წინად ტფილისის ერთ-ერთს სტამბაში დაიწყეს ბეჭდვა საისტორიო მასალებისა, რომელიც შეუკრებია, ქრონოლოგიურად დაუწყვია და განუმარტავს ბ-ნს თ. ჟორდანიას. წიგნი დიდის ტანისა და სიდიდისა გამოვა 400—500 კაბადონამდე და სათაურად ექნება: „ქრონიკები და სხვა ისტორიული მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ“. პირველი ფორმა ამ წიგნისა ამ ერთის კვირის წინად დაიბეჭდა კიდეც.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ მ. ვეზირიშვილისაგან 10 მან. აქედამ 5 მან. ნ. ბარათაშვილისა და 5 მან. დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. პირველის ფონდისა გვქონდა დღემდე 427 მან. 29 კაპ. ამითი შესდგა 432 მან. 29 კაპ. მეორე ფონდისა იყო 2175 მან. 40 კაპ. შესდგა 2180 მან. 40 კაპ.

*** კვირას, 9 თებერვალს, ტფილისის საბჭოს ყველა ხმოსანთა თანადასწრებით, დაიწყებს მოქმედებას ტფილისის საქიმიო ლაბორატორია. ეჭვი არ არის, რომ ეს ახალი დაწესებულება დიდს სამსახურს გაუწევს ქალაქს და შესამჩნევად შეამცირებს სიყალბეს სასმელ-საჭმელისა და სანოვაგისას.

*** შაბათს, 1 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განხილულ იქმნა საქმე ბ-ნ მიხაილოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა საშინელი დანაშაული—გაუპატიურობა მცირეწლოვანის ქალისა, თავის საკუთარის შვილი-შვილისა. სასამართლომ სრულიად გაამართლა ბრალდებული.

*** ორასი თუმანი დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ გამართულ ლოტარიაში რგებია ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლების მოძრაობის უფროსის თანაშემწეს, ბ-ნს გრევეს ორსკუპონს. ასი თუმანი—ი. ა—ძის ბაზანასოვის ბილეთს და ხუთასი თუმანი—ერთს ქალს, რომელიცა სცხოვრობს ტფილისშივ.

*** კავკავის გზის სადგურ „კობიდგან“ გუშინ, ამ თთვის 4, დეპეშით ამბავი მოვიდა, რომ ამ გზაზე ჩამოწოლილი თოვლის ზვავები ზოგან სულ გაუსუფთავებიათ და ზოგან-კი ზედ ზვავზე გაუკეთებიათ დროებითი გზა მარხილებისთვის. რუსეთის ფოსტა უკვე გადმოუტანიათ გუდაურში და ტფილისში გუშინ საღამოს მოვიდა.

*** ამ გაზაფხულიდგან ყარაიაზზე დაარსებული იქნება სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ გამოსაცდელი სადგური ბამბის მოყვანისა. სადგურზე იმუშავებს სამუდამოდ სპეციალისტი-აგრონომი ბ-ნი ტარატინოვი, რომელსაც ბამბის მოყვანის საქმე შეუსწავლია ამერიკაში, და აგერ რამდენიმე წელიწადია დაიარება ჩვენს კავკასიაში ამ საქმის გასაცნობად. წინაპირველად ამ საქმისთვის გადადებული იქნება ჯერ-ჯერობით 2,000 მანათი.

*** კვირას, 2 თებერვალს, მტკვრის მარცხენა ნაპირზედ მდებარე სომეხთა ეკკლესიებში წირვის შემდეგ ერის კაცთა დეპუტატების არჩევანი მოხდა. თითო მრევლიდგან სამი კაცი აირჩიეს. მოგვყავს სია არჩეულთა: ტერ-ოჰანესიანც, დარჩო არაქელიანც, ნიკ. გრიგორიანც, ის. აბრამიანც, გ. აკიმიანც, თავ. კონ. ბებუთოვი, გ. ევანგულოვი, დ. ტერ-ზაქარიანი, კარ. კოჩარიანც, ნ. ასიანც, კორ. კაზანჯიანც, ა. ალოშიანც, ს. ცატურიანც, ივ. თაიროვი, არ. კონდოხმაზიანც, ყარაღოზიანც, გ. თარხონიანც, ნ. ნიკოლოსიანც, აბაზიანც, იშხანიანც, ა. მელიქ-აივაზიანც და ს. მანუელიანც.

*** ტფილისს გარდა, ამიერ კავკასიის სხვა ქალაქებსა და სოფლებში სომეხთა ეკკლესიების მიერ არჩეულ უნდა იყვნენ ერის კაცთა დეპუტატები: ქუთაისში—1, ბათუმში—1, გორში—2, განჯაში—2, ახალციხეში—2, თელავში—1, სიღნაღში—1, შულავერში—1, დუშეთში—1, ყაზახში—2, ართვინში—1, ზაქათალაში—1, სოხუმის ოლქში—1, თრიალეთის საბოქაულოში—1, სოფ. შამშადინს და სოფ. კუმისში—1. ამ ჟამად ამ ადგილებში არჩევანები უკვე დაიწყო და 8 მარტისთვის გათავებული უნდა იყოს კიდეც.

*** თავისი სიავე იანვარმა თებერვალს გარდასცა. თითქო არ კმაროდეს წარსულს თვეში მომხდარი უბედურებაო, თებერვალიც იმისს კვალს დაადგა; 3 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, აი რა ამბავი მოხდა ბათუმში. სადაც ახალ რკინის გზის სადგურია, იქ იდგა საგანგებო ვაგონი, რომელიც დასძრა ზღვის ქარმა და გამოაქანა სასაქონლო სადგურისკენ. ვაგონი პირველად დაეტაკა იქავე მიმავალს ახალგაზდა დედა-კაცს, ტომით რუსს, და მარცხენა ხელი მოჰგლიჯა. ეს დედა-კაცი აღმოჩნდა რკინის გზის მოსამსახურე მემაშინის თანაშემწეს ცოლი, გვარად ლუპიანისა. დაეჯახა აგრეთვე ერთს პოლიციის მოხელეს და იმასთან ერთად ორს თათარსაც და ყველანი მძიმედ დააშავა. დაშავებულნი გაგზავნეს ბათუმის სახელმწიფო ქსენონში. მკურნალებს იმათი მორჩენა საეჭვოდ მიაჩნიათ.

2 თებერ. წიფადგან გამოსული მუშა ვაგონები როცა დააყენა ორლულიანმა ორთქლ-მავალმა იქავე, გვირაბის იქიდგან, ცალკე ლიანდაგზე დ დაბრუნდა სადგურ ხაშურისაკენ, რელსებიდგან გადავარდა ისართან. ამის გამო ხაშურიდგან მიიყვანეს სხალხო ვაგონები და გადმოსხეს № 1-თ ბათუმიდგან მომავალი ხალხი. ეს უკანასკნელი მატარებელი ტფილისში ჩამოვიდა 2 საათ. დაგვიანებით. აგრეთვე

## ფელეტონი

**სიმონა**

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

XVI

(დასასრული იხ. „ივერ.“ № 26)

დეკემბერი იყო. ძველს, თხუთმეტის დღის წინად მოსულს თოვლს ნელ-ნელა ემატებოდა კიდევ ზემოდამ. ხანდახან დაუბერავდა ქარი და აათამაშებდა ჰაერში თოვლის ნაფერთლებს, „ფანტელას“. სოფელს წაბლისერში რამდენისამე მოსახლე კაცისას იდგნენ ყაზახები თავისის ცხენებით. მასპინძლები შეკუნჭულიყვნენ პატარა სახლებში, „ოდას“ დაჰპატრონებოდნენ ეს მოუწვევარი სტუმრები და თავისებურად მოეწყოთ. ისეთი პალოები და ლურსმები-კი დაეკრათ სუფთა ხის კედლებში უნაგირებისა და სხვა რამეების დასაკიდად, ისე დაეხეთქად კედლის ფიცრები, რომ მნახველს გული მოუკვდებოდა. იმათის შიშით ქალები გარედ ფეხს ველარ ადგამდნენ. ამბობდნენ, სახლებშიაც მიდიან და ურიგოდ ეპყრობიან მანდილოსნებსაო. გლეხობაში დათარეშობდნენ მამასახლისი და მისი ხელქვეითნი „ეკუციის“ ხარჯისთვის. ამ „ეკუციის“ ხარჯს თავიანთის ჯიბისთვისაც ბევრი გამოაყოლეს და აყოლებდნენ კიდეც. ხალხს წელში სწყვეტდა ეს ხარჯი. ფული რომ აღარ აუთავდათ, სარჩოს—სიმინდს, ღომს და საქონელს აძლევდნენ, მაგრამ არ იქნა, მაინც ვერ აუვიდნენ. თუ ცოტა დაუგვიანდებოდათ ხარჯი, ეგზეკუციის ხალხი სადაც წაახელებდნენ ხარს, ძროხას, ღორს, ჰკლავდნენ და მიჰქონდათ. თუ პატრონი გამოცხადდებოდა და დავას დაუწყებდა—ჩემიაო, მათრახი და მისი ჯანი! ასეთს აყოლებდნენ ზურგზე, რომ ცოლ-შვილი რომ დაეკლათ ამას შემდეგ, ხმას ვერ ამოიღებდა. „ვაი ჩვენს გაჩენას, ამოგვართვეს პირში სული!“ გმინავდა ხალხი და ცდილობდა ერთს მეორე აეფარებინა წინ, ესე იგი, თავის თავი გამოეტანა და მძიმე ტვირთი მოძმესთვის დაეტოვებინა. როცა ერთს ევანიკას ადგებოდნენ კარზე ხარჯისთვის, ის მეორე ევანიკასკენ იშვერდა ხელს—იმას გადაახდევინეთ; მე არაფერი მაქვსო. მაგრამ ვერც ერთი თავს ვერ იფარავდა—ყველას ახდევინებდნენ.

ყაზახები ჩაეყენებინათ წაბლისერში იმიტომ, რომ აგერ სამს წელზე მეტი იყო, რაც სიმონა ძალაზე „ფირალათ“ გავარდა და შიშის ზარსა სცემდა თავისს მტრებს. კარგი ხანი იყო მას შემდეგ, რაც დავით დროიძის დიდი „ოდა“ ცეცხლს მისცა. ამას გარდა, სიმონას აბრალებდნენ მაზრის უფროსის დაჭრას, „პრისტავის“ მოკვლას, ფოსტის გაძარცვას და ბევრს ამ გვარს რამეს,—ყველა ეს დანაშაულობა მოხდა სიმონას ვაყაჩაღების შემდეგ. გაზეთები უმისოდ არ მოიხსენიებდნენ ყაჩაღ ძალაძის სახელს, რომ არ დაემატებინათ სიტყვა „ლეგენდური“. ხალხში ხმა იყო გავარდნილი, რომ სიმონას ტყვია ვერას ავნებსო. სიმონა ხან მარტო იყო და ხან მთელი ბრბო ახლდა. პოლიცია რამდენჯერმე დაეცა თავს, ორი-სამი ამხანაგიც მოუკლა, მაგრამ სიმონა გადარჩა და გაიქცა. დავით დროიძე მწარედ დაღონებული დადიოდა და შესჩიოდა ქვეყანას—„არ გრცხვენიათ, ერთმა ბიჭმა რომ აგვიკლო“-ო. ეხლა აგონდებოდა დავითს, სიმონას რომ უთხრა—აბა შენ და აბა მეო. ეხლა მიხვდა, რომ ბედნიერება, უსამართლო ძლიერებასა, ფულებსა და სხვის დაჩაგვრაში არა ყოფილა. ეხლა მიხვდა, რომ თავზე ხელ-აღებული ადამიანი საშიში ყოფილა, დიაღ, ეხლა, როცა მისგან გაბოროტებულმა სიმონამ ორი შვილი თვალ-წინ მოუკლა, საცხოვრებელი ცეცხლით გადაუბუგა და კიდევ, ვინ იცის, რას დამართებდა.

იმ დროს, როცა სოფელს წაბლისერში ყაზახები იდგნენ, ამ სოფლის ერთს კუთხეში, ერთს პატარა, ნახევრად სახურავ-დარღვეულს სახლში სცხოვრობდა ორი საბრალო არსება—ერთი დაუძლურებული დედაბერი და ერთი მცირე-წლოვანი პატარა ქალი; ერთი იყო სიმონა ძალაძის დედა და მეორე—ამის ნათესავი ობოლი ქალი. ორივეს ისეთი დაფლეთილი ტანსაცმელი ეცვა, რომ სხეულს ძლივს უფარავდა. ამათ ლოგინს შეადგენდა ერთი ჭუჭყიანი, დაკონკილი თხელი საბანი და ერთი ძველი ჭილობი. შეშა ამათ არ მოეპოებოდათ, გარდა იმისა, რომ ფეხშიშველა პატარა ქალს შემოჰქონდა

ტფილისიდგან მიმავალი საფოსტო მატარებელი № 4 დილის ექვს საათამდე უცდიდა გზის გაწმენდას და ბათუმში ჩავიდა 7 საათის დაგვიანებით.

*** სამტრედია: 30 იანვარს დიდი საცოდაობა დატრიალდა აქ. ერთის ფეხსაცმელების მკერვალის დუქანში საღამოს რვა საათზე, როცა მკერვალი გულ-მოდგინედ მუშაობდა, შევიდა მასთან „დესეტნიკი“ კრავიეიშვილი, ამოიღო რევოლვერი და დაუწყო თურმე წმენდა. ამ დროს უსაბედად გაუვარდა რევორვერი, მოხვდა ტყვია გულ-დანდობილს მკერვალს მუცელში და იქვე გაათავა. დარჩა საწყალს ახალგაზდა მუშაკს ყმაწვილი ცოლი და ღრმად მოხუცებული დედ-მამა.

*** იქიდამვე: გაგვიჭირდა საქმე უგზო-უკვლობისაგან. სადგურამდე მისავალი გზები ყოვლად უვარგისია და ყელამდე ტალახსა და ლაფში ვისვრებით. ვერც ფეხით, ვერც ცხენით და ვერც ეტლით ვერ გივლია ამ გზებზე უხიფათოდ. თვით დაბის ქუჩები საშინელებაა, მეტადრე ღამღამობით. ფარნები არსად არის და, თუ აქა-იქ სდგას, იმასაც არავინ ანთებს. სხვაფრივ უსუფთაობას ხომ ნულარ იტყვით. ყასბები შიგ შუა დაბაში დუქნებს უკან ჰხოცავენ საკლავს და არის ერთი უბედურება აუარებელ ძაღლებისა და ღორებისაგან. ეხლა კიდევ ზამთარია და, რა იქნება ზაფხულში ასეთის დაუდევრობის გამო, ადვილად წარმოიდგინეთ. ჯერ ეხლაც არის აქ ყვავილი, რომელმაც რამდენიმე ყმაწვილი იმსხვერპლა. სასურველია, რომ ჩვენის დაბის ყოველ-გვარს უწესოებას ყურადღება ჰქონდეს მიქცეული.

*** სიღნაღი: 26 იანვარს, როგორც მოგეხსენებათ, გაიმართა ბალი რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ მაზრის უფროსის ბ-ნ შაწშიევის მეუღლის ელისაბედ ალექსანდრეს ასულის მეთაურობით. სამხედრო მუსიკა იყო მოწვეული თუქურმიშიდამ. ხარჯს გარდა დარჩა თხუთმეტ თუმნამდე. ბალმა საზოგადოდ მხიარულად ჩაიარა. მოწეს-რიგენი იყვნენ: ა. შავერდოვი და ნ. სერებრიაკოვი.

*** იქიდამვე: 26 იანვარს იყო არჩევანი ქალაქის დეპუტატებისა. ხელმესამედ ამოირჩიეს ისევ ნამყოფნი: ა. შავერდოვი და მ. არუთინოვი; მათს მობადლეებად (კანდიდატებად) დარჩნენ ისევ ძველები. სიღნაღელები ემადლიერებიან თავიანთს დეპუტატებს კეთილ-სინიდისიერისა და გულ-მოდგინე სამსახურისათვის: გამოიყვანეს წყალი, აკეთებინებენ გზებს, სასეირნო მოედანზედ დაადგმევინეს წამალ-წასმული ფიცარ-სკამები, 40 ფარანს 15 ფარანი კიდევ მიუმატეს და სხვ.

ემადლიერებიან აგრეთვე სიღნაღში ახლად მოსულს მკურნალს ბ-ნ მ—ს, რომელიც მცირეოდენს სათასურსაც სჯერდება გლეხებს და არა ჰგავს ზოგიერთებს, რომელნიც ვიდრე სოფლელები ფაიტონს და ხუთს მანათს არ მიართმევდნენ, არ იკადრებდნენ წაბრძანებას ავადმყოფთან არა რომელს შემთხვევაში.

*** სოფ. გალმა-კოდორი (სენაკის მაზრა): თქვენი მტერი ჩავარდა ისეთს მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც არიან გალმა-კოდორის მკვიდრნი გზების უვარგისობის გამო. რიონის ნაპირიდან, საიდანც იწყება სოფელი, ვიდრე ბოლომდის, შეუძლებელია ზემოხსენებულის სოფლის გზით სიარული ამ ზამთარში. მეტისმეტ ლაფისაგან კაცს ფეხი ვერ გაუდგამს გარედ. დღესასწაულები ისე გავიდა, რომ ეკკლესიაშიაც გვიჭირდა წასვლა. ხალხი თითქმის უშემოდ არის ამ ცივს ზამთარში. კარგი იქმნებოდა, რომ ეფიქრნათ რამე ამ გზის გაკეთებისათვის და მით დაეხსნათ აქაურები დიდის გაჭირვებისაგან.

*** ქუთაისი: შაბათს, 1 თებერვალს, ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოს გარდაწყვეტილების თანხმად ქალაქის 2 რიგის 4-მა წევრმა ხელმეორედ კენჭი იყარა: შ. ი. რიჟანაშვილმა, ი. დ. რაზუმოვსკიმ, ი. ი. ყაუხჩევმა და ი. ს. ალიბეგოვმა. ამათში ამორჩეულ იქმნენ: შ. ი. რიჟინაშვილი და ი. ს. ალიბეგოვი. პირველი 35 ხმიის უმეტესობით, წინაამდეგ 23-სა და მეორე 35-სავე ხმის უმეტესობით წინაამდეგ—24-სა. დანარჩენებს ამოუვიდათ: ი. დ. რაზუმოვსკის—25 თეთრი და 34 შავი კენჭი და ი. ყაუხჩევს—28 თეთრი და 31 შავი.

3 რიგის ხმოსანთა არჩევანები დანიშნულია დღეს, 4 თებერვალს,

*** იქიდამვე: ქუთაისიდამ სწერენ გაზეთს „კავკაზ“-ს რომ შორაპნის მაზრაში პოლიციის მოხელეს ვ. ახვლედიანს, რომელიც იქ ქუთაისის პოლიცმეისტრის განკარგულებით იყო გაგზავნილი, ამ დღეებში შეუპყრია ბ. რობაქიძე, რომელსაც ქუთათურ ურიების, იაკობიშვილისა და ციციაშვილის მოკვლაში მონაწილეობა ბრალდება.

*** იქიდამვე: გარდაიცვალა მთელს ქუთაისის გუბერნიაში ცნობილი გენერალ-მაიორი სპ. მაჭავარიანი 90-ზე მეტის წლისა.

*** 3 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, ალექსანდრეს ქუჩაზე იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## ქალაქის საბჭო

3 თებერვალს

კრების მიერ განხილულ იქმნა ხელშეკრულობა გამგეობასა და ბელგიის უსახელო საზოგადოებას შორის შესახებ იმისა, თუ რა პირობითა ჰკისრულობს გამგეობა ქუჩების გვას, სადაც ლიანდაგებია გატარებული ცხენის რკინის გზისა. თავისს დროზედ ჩვენ მოხსენებული გვქონდა პირობანი ამ ხელშეკრულობისა და აქ მხოლოდ მოკლედ გავიმეორებთ. ქალაქის გამგეობამ უნდა ჰგავოს თავისს ქუჩებთან ერთად ლიანდაგებიც და გზის დირექციამ უნდა აძლიოს ამაში წლიურად 2140 მანეთი, ნაცვლად 600 მანეთისა, რომელსაც იძლეოდა ამ უკანასკნელს წლებში. ხელშეკრულობის ვადა არის ხუთი წელი. წარსულ წლების შესატანში დირექციამ უნდა მისცეს ქალაქს 1567 მანეთი და 29 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ აძლიოს წელიწადში 75 ბილეთი გამგეობის მოხელეთათვის, უკეთუ საბჭო ხელს აიღებს 12800 მანეთის ჯარიმაზე, რომელიც უნდა გადაჰხდენოდა უსახელო საზოგადოებას იმის გამო, რომ, წინაამდეგ ადრინდელის ხელშეკრულებისა, 1889 წელს მუშტაიდის ლიანდაგზე არ ატარებდა ვაგონებს საღამოს 11 საათამდე. საბჭომ დაამტკიცა ეს ხელშეკრულობა.

მეორე საგანი იყო მოხსენება გამგეობისა შესახებ ავლაბრის ქვემო ხიდისა და ციციაანთ აღმართისა, სადაც უკანასკნელს დროს შეყენებული იყო მისვლა-მოსვლა. მოხსენებიდგან აღმოჩნდა, რომ ქვემო ხიდი უკვე ამ თთვის ორს გაჰხსნა გამგეობამ, რადგან ყოველივე საშიში ადგილი გააწმენდინა მეტეხის კლდეზე. ხოლო ციციაანთ აღმართის გახსნა შეუძლებელიაო მოახსენა გამგეობამ საბჭოს: შენობათა საქმის კომისიას შევეკითხენით—საშიშია თუ არა მაგ აღმართზე სიარული და კომისიამ სთქვა, რომ არც უშიშარიაო. მხოლოდ ერთი წევრი კომისიისა ხმოსანი კარაპეტოვი იმ აზრისაა, რომ ეგ აღმართი საშიშარს არას წარმოადგენს და ამიტომ გზა უნდა გავხსნათო.

ხმ. ზოლკოვსკი, თავმჯდომარე შენობათა საქმის კომისიისა. როგორც ინჟენერი, უნდა მოგახსენოთ, რომ მაგ გზაზე შესაძლოა უბედურება, გზა უშიშარი არ არის და ამიტომ მაგის გახსნა ძნელია, ხოლო, როგორც ხმოსანი ვამბობ, რომ ეგ აღმართი უნდა გავხსნათ.

ხმ. კარაპეტოვი. ჩემის აზრით, ეგ აღმართი მარტო ციციაანთს ასავალზე-კი არა, უფრო საშიშია რიყის ქუჩისათვის, რომელსაც ზემოდგან დაჰყურებს. მაშასადამე, თუ შევკრავთ ციციაანთს ასავალს, უფრო ადრე უნდა აღვკრძალოთ მისვლა-მოსვლა რიყის ქუჩაზედ. და უკეთუ რიყის ქუჩაზე სიარულს არ ვუშლით, ციციაანთს აღმართზე უფრო თამამად შეგვიძლიან ვატაროთ ხალხი. ავლაბრის კლდე ეხლაც იმ ყოფაშია, როგორშიც აქამდე იყო. ცვლილება არა მომხდარა-რა. აქამდისაც ცვიოდა ქვები, დღესაცა ცვივა. უბედურება-კი იქ არა დატრიალებულა-რა. თქმა არ უნდა, უბედურება შესაძლებელია, მაგრამ სად არ არის იგი შესაძლებელი! აგერ, კავკავის გზა. განა ცოტა-ჯერ ჩამოწვება ხოლმე მიწა, ქვისა და თოვლის ზვავი, მაგრამ მაინც გზის შეკვრას სულაც არავინ ჰფიქრობს, უბედურების ასაცდენად აქა-იქ ყარაულებია დაყენებული, მეტი არაფერი. აგრეთვე უნდა მოვიქცეთ ჩვენც და გზა-კი უეჭველად გავხსნათ.

ქალაქის ინჟინერი ბ-ნი ენფიაჯიანცი. თუ უშიშრობას ვიტყვით, მაშინ არც კოჯრის აღმართია უშიშარი, არც მთაწმინდის კალთები, არც ციხისუბანი და მაშასადამე, აქ ყველგან უნდა შევკრათ გზები და ავუკრძალოთ ხალხს იქ სიარულიცა და ცხოვრებაც, რადგან ვერავინ ვერ იტყვის, ვითომც ამ ადგილებში შეუძლებელი იყოს ფათერაკი და უბედურება. ამისდა მიუხედავად ჩვენ არც გზებსა ვკრავთ და მსურველთ უფლებასაც ვაძლევთ იქ მოსახლეობისას. აგრეთვე უნდა მოვიქცეთ შესახებ ციციაანთ აღმართისა. თუ მკითხავთ, მაგ აღმართის შეკვრა უფრო საშიშია, ვიდრე გახსნა, იმიტომ რომ ეხლა მგზავრნი მიაწყდნენ სირაჯხანის აღმართს, სადაც სივიწროისა გამო უფრო ხშირად არის მოსალოდნელი უბედურება, ვიდრე ციციაანთს აღმართზე.

ხმ. ჩოლოყაშვილი. ეგ აღმართი უეჭველად უნდა გავხსნათ და ვისაც იგი საშიშად მიაჩნია, ნუ ივლის მაგ გზით.

ხმ. მარტინოვი. მეც იმ აზრისა ვარ, რომ ციციაანთ აღმართი უეჭველად გავხსნათ. პოლიცია თუ ეხლახან დაფაცურდა მაგ გზის შესახებ, მხოლოდ იმ უბედურებისა გამო, რომელიც მოხდა მტკვარზე წყალ-კურთხევა დღეს. ქალაქის თვით-მმართველობა არ არის მოვალე ანგარიში აძლიოს თავისის მოქმედებისა პოლიციას. პოლიციამ თავისი საქმე აკეთოს ჩვენ ჩვენი. საშიშარს მანდ არასა ვხედავთ და აღმართი უნდა გავხსნათ.

საბჭომ დაადგინა, რომ აღმართი გაიხსნას.

ბოლოს კრებამ მოისმინა წინადადება ხმ. ვ. სარაჯოვისა შესახებ არსენალის აღმართისა.

ხმ. სარაჯოვი. გამგეობას ტყუილად გაუმართავს მიწერ-მოწერა საინჟენერო მთავრობასთან. ამ უკანასკნელმა დიდი ხანია ხელი აიღო მაგ გზაზე. ნუ გვექნება იმედი, რომ მან ფული გაიღოს და მოკირწყლოს ეგ გზა, მით უმეტეს, რომ ეგ უბრალო გზა-კი არ არის, ეგ ქუჩაა, რომელზედაც შენდება მრავალი სახლები. ჩვენ ფულს ვართმევთ სახლის პატრონებს და ქუჩას-კი არ ვაძლევთ. ეგ ქუჩა უკეთესია, ვიდრე ციციაანთ აღმართი. მაგით უფრო მეტი ხალხი დადის, რადგან უფრო სანთია მთელის ავლაბრისთვის. დღეს ჩვენ ნავთლუღის რკინის გზაც გვინდა გავიყვანოთ და მაგაზე უკეთესს გზას სადა ვნახავთ, როგორც არსენალის აღმართია. გარდა მაგისა, არსენალის აღმართზე მიაქვთ

---

ხანდახან მის მიერ ხეებს ქვეშ ანაკრეფი პეწკები და ან ქეთევანი მუხლების კანკალით გავიდოდა გარედ, ხის ტოტს, ან კუნძს მოიძევდა და შემოიტანდა. კიდევ კარგი, რომ პავლია, სიმონას ცოლის ძმა, რომელიც ეხლა დაჭერილი იყო—ყაჩაღებს მალავსო აბრალებდნენ—სიმინდს აძლევდა ამ საცოდავებს, თორემ სიმშილით დაიხოცებოდნენ, ან ვინ უპატრონებდა? ხალხი, რომელიც იმდენს ვაი-ვაგლახში ჩავარდა სიმონას ყაჩაღობის გამო, ლანძღვით იხსენიებდა ქეთევანს: — „სულ-ძაღლიანი, გამოზარდა ვეშაპმა ქვეყნის დამაქციური, მიაჩვია პაწაობიდანვე სიავკაცეს და ახლა სულს გვხთიან მისი გულისთვის“-ო; დამწვარზე მდუღარე გადაასხესო, რომ იტყვიან, იმისი არ იყოს, აქეთ სიმონა ყაჩაღად იყო გავარდნილი და იქით კიდევ ქალიშვილი, მაგდანა, რომელიც ქმართან უკმაყოფილოდ სცხოვრობდა, სადღაც გაიქცა, დაიკარგა. ზოგი ამბობდა, ვიღაც რუსს წაჰყვაო. იმასაც ლაპარაკობდნენ, რომ ქმარმა მოკლა ჩუმადაო. ამ გარემოებამაც ბევრი სალაპარაკო მისცა ხალხს ქეთევანის შესახებ—„ბატონო, თითონაც უნამუსო იყო, მისი შვილებიც იმისთანა გამოვიდა“-ო. მთავრობასთანაც ცუდად დაბეზღებული იყო ხალხისაგან, მეტადრე დავითისაგან, ქეთევანი,—„დედის ბრალია სიმონას გაფირალება“-ო. ამიტომაც იყო, რომ მაზრის უფროსმა სოფლის კანცელარიაში დააბარებინა ქეთევანი და მათრახით აცემინა—„წაათრიეთ სატუსაღოში ეს ქოფაკი, ესა“, დაიყვირა, როცა ქეთევანი ცემისაგან წაიქცა. რამდენიმე დღე და ღამე გაათევინეს ქეთევანს მაზრის უფროსის ბრძანებით სოფლის საპატიმროში, მერე ისიც ზამთარში. ასე მიდიოდა ქეთევანის ცხოვრება, ქეთევანისა, რომელსაც ხვედრმა ამდენი მწარე ნაღველი დაალევინა.

— ბებია, სიმონ ბიძიი რომ მუშინ, დიდს ცეხლს დაგვინთებს, შენც და მეც პერანგს გვიყიდის,—დაუწყებდა ტიტინს პატარა ქალი.

— კი, შვილო, კი, ეტყოდა ქეთევანი და მოჰყვებოდა ტირილს და წყევლას—ვინც ჩემი შვილი დამიკარქა, ასე და ისე მოუვიდესო. ქეთევანს ახსოვდა, რომ გიორგობის წინა დღე იყო, როცა მისი სიმონ შინიდგან გავიდა. იმ დღიდან დაწყებული თვალი აღარ მოუკრავს სიმონასთვის. მისს ეზოს, მისს სახლს, მისს კარს—ყოველივეს დარაჯი ადგა დავით დროიძის საჩივრის გამო. ერთხელ ქეთევანს ვიღაც სანდო კაცის ხელით სიმონასაგან გამოგზავნილი ფული მოუვიდა, მაგრამ ქეთევანმა არ მიიღო—„მე მისი ნახვა მენატრება, თვარა აგი რათ მინდა, ამ სიკვდილის ჟამს ნაქურდალის ჭამას ხომ არ დევიწყებ“-ო.

XVII

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ქეთევანი დიდი ხანი იყო, რაც სამარეში იწვა მისს საფლავზე ისეთი ბალახი ამოსულიყო, რომ ვერც-კი შეატყობდით—აქ ერთს დროს ადამიანი დაუმარხავთო. ძალაძის მიდამო „გაპარტახდა“, „შალდამად“ გადაიქცა; პატარა სახლი, საძროხე, სალორე და „ფაცხა“ დალპა და ჩაინგრა. სახლის კედლები ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ ისე, რომ მისს დანახვაზე საშინელი სევდა მოგაწვებოდათ გულზე. მეზობლის ქალები და ბავშვები, როცა გაივლიდნენ ამ „ყრუ“ მიდამოს სიახლოვეს, „წმინდა გიორგი და დამიფარე“-ო, გადაიწერდნენ პირჯვარს და გადააფურხებდნენ სახლისკენ.

წაბლისერის გლეხ-კაცობას ბევრი რამ გადახდა თავს ამ დროს განმავლობაში. ბევრი „ეკუცია“, „პრიგავორობა“ და სხვა ამგვარი გამოსცადა. ხალხის რიცხვმაც მოიმატა. მაგრამ სამაგიეროდ „უმა“ *) იკლო, ტყე ახლო-მახლო გაიკაფა, შეშამ იძვირა, ტყეში ნადირი (გარდა მგლებისა და ტურისა) და წყალში თევზი გაძვირდა. მამულის პატრონებმა „ღალასა“ და „ბაჟს“ მოუმატეს. გლეხობას შრომა, სილატაკე და გადასახადი დღითი დღე ემატებოდა. უსწავლელობა და სილატაკე ჰბადავდა ხალხში შურს, მტრობას, გაუტანლობას, სიმხდალეს, გარყვნილებას და ათასს სხვა ცუდს ზნე-ჩვეულებას.

„ფირალს“ სიმონა ძალაძეს ჯერ კიდევ შიშსა და ძრწოლაში ჰყავდა თავისი მტრები. ორჯელ დაიჭირეს, მაგრამ ორჯელვე გაიქცა. დასჭრეს, მაგრამ მორჩა. სიმონა ხან გაქრებოდა, გადაიკარგებოდა სადმე, ხან ისევ გამოჩნდებოდა და მაშინ ისევ ყაზახ-რუსები და სოფელი წაბლისერი, ისევ „ეკუცია“ და მისი ხარჯი. სიმონას გარდა, კიდევ გაყაჩაღდა რამდენიმე სხვა კაციცა, რომელთ სახელი ისე გავარდა, რომ ცოტა უკლდა, პირველობა არ ჩამოართვეს სიმონას „ფირალობაში“. მთავრობა ხმარობ-

*) უყი საყანე მიწაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცვალებულები სომხეთა სასაფლაოსკენ და ხშირად მუხლებამდე ცვივიან ტლაპოებში. მაგავე გზით დააქვთ, დიდ-ძალი „პოვოსკები“, ფურგუნები; მეეტლეებს ვართმევთ ცხენის ხარჯს და არ-კი ვაძლევთ რიგიანს გზას. ეგ ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ მოვალენი ვართ ვიტვირთოთ ეს გზა და ტყუილ-უბრალოდ ნუ შევყურებთ ვისმეს ხელში, რომ ადგებიან და თავიანთის ხარჯით გზას გაგვიკეთებენო.

შემდეგ ხანგრძლივის კამათობისა, საბჭომ დაადგინა ვიტვირთოთ არსენალის აღმართი და თვითონ ჩვენ განვაგოთ და ვუპატრონოთ ამ გზასაო.

## მედიატორეთა განჩინება

ე. ს. თაყაიშვილისა და თ. დ. ჟორდანიას სადაო საქმის თაობაზე.

1892 წლისა თებერვლის 3 დღეს ჩვენ მედიატორეთა: ა. მ. ჭყონიამ, ი. ი. პოლტარაცკიმ, გ. ნ. იოსელიანმა, ნ. თ. ხიზანაშვილმა და გ. ე. წერეთელმა, აღმოჩენილთა განსახილველად ბრალდებათა, რომელნიცა ერთმანეთს განუცხადეს ე. ს. თაყაიშვილმა და თ. დ. ჟორდანიამ 1891 წლის „ივერიის“ 120,134 და 229—233-მდე ნომრებში დაბეჭდილის საპოლემიკო სტატიების გამო, განვაბჭეთ რა საქმე საჯაროთ და მოვისმინეთ რა მოწმეთაგან ჩამორთმეული ჩვენება და ორმხრივ გამოთქმული შედავება, დავასკვენით:

I ჩვენ, მედიატორეთა, წავიკითხეთ რა ბ-ნ თაყაიშვილის შესახებ წარმოთქმული სიტყვები (№ 233 ივერიისა) ჟორდანიასი: „მაგრამ დახეთ მეხთაღს შემთხვევას, ის ტყავის წიგნი მიმეფარა თვალთაგან მოულოდნელად და მიუწდომელად ჩემდა და ზედვე დამეკარგა თვით ჩემგან გადაწერილი რვეულიცა „ქართლის მოქცევისა“, რომელიც შემთხვევით ენახე ერთის ჩემის მეგობრის სახლში...“ (ბევრი წერტილია დასმული), დავრწმუნდით, რომ ამ სიტყვებში უეჭველათ გამოსჭვივის შეურაცხმყოფი დაწამება, ვითომც ბ-ნმა თაყაიშვილმა უკანონოთ მიითვისა ბ-ნ ჟორდანიას რვეული; მაგრამ ეს დაწამება სრულებით უსაფუძვლოა, რადგან თვით იმის ლაპარაკიდგან და მოწმების ჩვენებიდგან გამოირკვა, რომ ბ-ნ ჟორდანიას თვითონ უთხოვებია თავისი რვეული ბ-ნ თაყაიშვილისათვის, რომელთანაც იმყოფებოდა აგრეთვე ტყავის წიგნი. ამასთანავე ვსცანით, რომ ეს დაბრალება, შესაძლებელია, ბ-ნ ჟორდანიას მოუვიდა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი შეცდომას მიეცა და გულმავიწყობის გამო ველარ მოიგონა, როდის და სად გადასცა ბ-ნ თაყაიშვილს თავისი რვეული.

II შესახებ იმ ბრალდებათა, რომელნიცა ბ-ნ ჟორდანიამ განაცხადა ბ-ნ თაყაიშვილის წინააღმდეგ, ჩვენ მედიატორეთა ასე ვსცანით: ა, ბ-ნ თაყაიშვილის სიტყვები (№ 134 „ივერიისა“): „მე მგონია თვით ბ-ნი ჟორდანია მოხარული იქნებოდა, რომ მუზეუმის წიგნები და ხელთნაწერები, რომელნიც მას აბარიან, დაწვრილებით აწერილი ყოფილიყო და ისე ჩაბარებოდა მას“—არავითარს შეურაცხყოფას არ აყენებენ ბ-ნ ჟორდანიას. ბ, ბ-ნი თაყაიშვილის აზრი, „ივერიის“ № 134 გამოთქმული, რომ წერა-კითხვის გამგეობის მიერ დანიშნულს კატალოგის შესადგენათ კამისიას არა გაუკეთებია-რა და ტყუილად კამისიის სახელს ატარებსო, არ შეურაცხყოფს ბ-ნ ჟორდანიას, რადგან თვით ბ-ნ თაყაიშვილის სტატიიდგან გამოდის, რომ მას მხედველობაში არ ჰყოლია პირადად ბ-ნ ჟორდანია. გ, საყვედური ბ-ნ ჟორდანიასი, ბ-ნ თაყაიშვილისადმი მიმართული, რომ მან ბ-ნ ჟორდანიას ჰსევდონიმი გამოაქვეყნა, უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან ბ-ნ თაყაიშვილზედ ადრე ეს ჰსევდონიმი გამოქვეყნებული ყოფილა. დ, რაიცა შეეხება იმ საყვედურს, რომლითაც ბ-ნ ჟორდანიამ მიჰმართა ბ-ნ თაყაიშვილსა, რომ მან იხმარა მის შესახებ გულსატკენი სიტყვები საპოლემიკო სტატიაში, აქ ბ-ნ თაყაიშვილს ბრალი არ ედების, რადგან ამგვარივე საყვედურის კიდევ უფრო ღირსია ბ-ნი ჟორდანია.

მედიატორეთა თავმჯდომარე: ალექსანდრე ჭყონია

მედიატორენი: ივანე პოლტარაცკი
გ. იოსელიანი
ნ. ხიზანაშვილი
გ. წერეთელი

## რუსეთი

ორს წინა ნომერში დაბეჭდილი გვქონდა წერილი გრაფის ლ. ტოლსტოისა. ამ წერილის პასუხად გაზეთს „Моск. Вѣд.“-შივე დაბეჭდილია შემდეგი წერილი თავადის ა. შალიკოვისა:

„ჩვენ რაღაცა ბედი არა გვწყალობს ჩვენის გამოჩენილის მწერლებისა და პოეტების მხრივ. ვინ არ იცის, რომ მრავალი მათგანი ზეგარდმო ნიჭ-მიმადლებული და გენიოსი კაცი უდროვოდ გამოესალმა წუთი-სოფელსა. გრიბოედოვი, იაზიკოვი, დელვიგი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, დოსტოევსკი... მგონი მხოლოდ კრილოვმა მიაღწია ხნიერს სიბერეს. ანნა კარენინას შემდეგ, ამ ათისა თუ თორმეტის წლის წინად, ჩვენ დავმარხეთ აგრეთვე გრაფი ლ. ნ—ძე ტოლსტოიც.

ვის არ წაუკითხავს ყაზახები, ომი და მშვიდობიანობა, ანნა კარენინა?... გრაფ ტოლსტოის მატურზე სხვილის ასოებით აწერია, რომ რუსეთმა ტოლსტოის დაკარგვით დიდად ნიჭიერი მოთხრობების მწერალი დაჰკარგაო.

და აი ამ ჟამად გამოჩნდა ახალი გრაფი ლ. ნ—ძე ტოლსტოი, რომელიც განსვენებულის სახელოვან მწერლის მიერ შეგროვილის ზნეობურ თანხის სარგებლითა სცხოვრობს. ჩვენ სურათიცა ვნახეთ ამ აწინდელის გრაფის ლ. ნ—ძის ტოლსტოისა. ეს სურათი სურათების გამოფენათა შესავალს კარებში იყიდებოდა, შემსვლელსა და გამომსვლელს ყველას ხელში აჩეჩებდნენ. ამ კაცს მრისხანე სახე აქვს, აბურძგნული წვერი, აცვია ქალამნები, ჭრელი პერანგი და რაღაც მიზეზისა გამო გულისთვის მოუკიდნია ხელი. ამბობენ, ამ კაცმა რუსეთის კონფუციობა მოინდომა, ავტორია სიბრძნის უფლებისა და ჰქადაგებს—ბოროტს ნუ ეწინააღმდეგებითო.

თუ რუსეთზე გადამტერებული, ანუ, როგორც რაღაც მიზეზისა გამო, ლიბერალურს უწოდებენ, ჟურნალ-გაზეთები ძლიერ ცოტასა და თითქმის სრულიად არაფერს ლაპარაკობდნენ, სამაგიეროდ ამ ჟამად ავტორი სიბრძნის უფლებისა მათთვის სათაყვანებელი კერპი შეიქმნა, და მკლავში ძალა იგრძნეს.

ხალხის გაჭირვებამ ჩვენი კონფუცი წამოაყენა წინა და ახალის მოღვაწეობისათვის მოაკიდებინა ხელი.

დაიწყეს იმანა და იმისმა მეუღლემ რუსეთის ცნობილს მტრებთან—ინგლისსა და გერმანიასთან—მიწერ-მოწერა ჩვენში ჩამოვარდნილ სიმშილის თაობაზე. გრაფი სხვა არავის და არაფერს ყურადღებას არ აქცევს, მხსნელად ხალხისა მხოლოდ თავისი თავი და ერობანი მიაჩნია (ხოლო ეხლა ერობათაგანაც პირი იბრუნა). ავიწყდება და ან ვერა ჰხედავს, რომ ათასობით უკეთესნი კაცნი მრავალს გაჭირვებულს ასაზრდოვებენ, რომ ბატონები წინანდელს თავიანთს ყმებს ეხლა თავისის ხარჯით ინახავენ, რომ განსაკუთრებული კომიტეტი შესდგა და... მაგრამ ყოველსავე ამას გრაფი ყურადღებას არ აქცევს!“

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** ტფილისის გაზეთ „Кавказъ“-ს სტამბოლიდგან საკუთარი კორესპონდენტი საყურადღებო ცნობებსა სწერს მთავარ-ეპისკოპოსის ხორენ ნარბეი დე-ლუზინიანის დაპატიმრება-განთავისუფლების შესახებ.

ხორენ-ნარბეი დე-ლუზინიანი მთავარ-ეპისკოპოსია ბეშიხტაშისა. ნარბეის ყველა იცნობს და პარიჟში ნათესავიცა ჰყავს, ლეონ დე-ლუზინიანი, რომელიც თავადობას ჩემულობს. როგორც აღმოჩნდა, ეს მთავარ-ეპისკოპოსი ხშირადა სწერდა თურმე წერილებს თავისს ნათესავს და სასახლის ამბებს ატყობინებდა. აგერ ამას წინად პოლიციამ შეიტყო ეს ამბავი, ზოგიერთი წერილი დაიჭირა, მთავარ-ეპისკოპოსი მაშინვე სამინისტროში დაიბარეს და ჰკითხეს:

— შენ დასწერე, მისი უდიდებულესობა სულთანი დიდად უკმაყოფილოა, რომ როცა ახალი ხედივი აბბას-ფაშა ვენადგან ქაირში მიდიოდა, არ შემოიარა სასახლეში და თაყვანი არა სცა სულთანს, როგორც წესი და რიგი მოითხოვსო; სულთანი ამ ბოლოს დროს სუსტდება და უძლურდება როგორც ხორციელად, ისეც სულიერად, გონებრივადაო; დასასრულ, შენვე სწერდი რაღაც საიდუმლო ამბავს, რომელშიაც ვიღაც ყმაწვილი ქალიც ერიაო?

მთავარ-ეპისკოპოსი ყველაფერში გამოტყდა და აღიარა, რომ ეგ ცნობები ჩემი დაწერილიაო. როცა ჰკითხეს, საიდგან შეიტყობდი ხოლმე მაგ ამბებსაო, მან რამდენიმე სასახლის მოსამსახურე დაასახელა, ისინი მაცნობებდნენ ხოლმეო. რაკი გამოირკვა, რომ ნარბეი მართლა დამნაშავე ყოფილაო, ჰკითხეს:

— ხომ აღიარებ, რომ დღევანდლამდე სულთანის პურსა სჭამდი; მისის უდიდებულესობის მოწყალებით, ყოველ თთვე პენსიად ოც-და-ხუთი ოსმალური ლირა გეძლეოდა; იმის სახლში იდექი და საჭმელიც-კი სასახლიდგან მოგდიოდაო? რაკი ეს ასეა, განა ცუდად არ იქცეოდი, რომ საზღვარ-გარედ სასახლის ცრუ ამბებს აცნობებდი და საზოგადოდ სულთანს სახელს უფუჭებდი? განა უკეთ არ იქმოდი, რომ დაჩუმებულიყავ და არა გეთქვა-რა, თუნდა ეგ შენ მიერ ნაუწყები ცნობებიც მართალი ყოფილიყო? ეხლა რა უნდა ვიფიქროთ შენ შესახებ, როდესაც ცრუ და ჩვენს წინააღმდეგ წერილებსაც-კი სწერდიო?

ხორენმა უპასუხა: „დამნაშავე ვარ და შენდობა-მოტევებასა ვთხოვ სულთანსაო“. შემდეგ განზედ გაიხმო პოლიციის მინისტრი და ევედრებოდა, საპატრიარქოში ნურაფერს შეატყობინებთ აქ მომხდარ ამბებისასაო. მაინც გაათავეს თუ არა გამოძიება, საპატრიარქოდგან ოთხი კაცი მოიწვიეს—ორი სასულიერო წოდებისა და ორიც სამოქალაქო წოდებისა და ამათთან გაამეორებინეს ჩვენება სიტყვა-სიტყვით მთავარ-ეპისკოპოსს ნარბეის.

— მითხარით ერთი, რამ გაიძულათ აგრე მოქცეულიყავითო? ჰკითხა გამომძიებელმა.

— მხოლოდ და მარტო იმან მაიძულა, რომ ერთს დროს, როდესაც დიდად გაჭირვებული ვიყავი, ჩემი ნათესავი დე-ლუზინიანი ძალიან მეხმარებოდა, და ეხლა ძველს ვალს ვუხდიდი, ესე იგი სხვა-და-სხვა ცნობას ვწერდი და ისიც ჟურნალებში ჰბეჭდავდა ფასითაო.

ეს ამბავი ყოველივე წვრილად აუწყეს სულთანსაცა და პატრიარქსაც. მისმა უდიდებულესობამ სულთანმა განაცხადა, რომ მიპატიებია ხორენ ნარბეისათვის მისი დანაშაული, თუმცა ძალიან ცუდად მომექცაო. ამ გვარად ხორენ-ნარბეი განათავისუფლეს. პატრიარქმა-კი სულ სხვაფრივ შეჰხედა ამ საქმეს, არ შეუნდო ეს დანაშაული და ეპარქიის მმართველობა ჩამოართვა. ამის შესახებ ცირკულიარიც გაჰგზავნა ყველა

---

და „ზომებს“ ავაზაკობის მოსასპობად, მაგრამ ეს „ზომები“ ხალხს უფრო უარესს შავ-დღეს აყენებდა, მინამ თითონ ყაჩაღები და მათი მოქმედება.

დავით დროიძე? დავითის საქმე უკუღმა დატრიალდა: ის შვილი, რომელიც პოლიციაში ჰყავდა „სეკრეტრად“, რაღაც ყალბის ქაღალდის შედგენისთვის ციმბირში გაგზავნეს; მეორე შვილი მოუკვდა; უფროსი შვილი, რომელიც „მანუფაქტურით“ ვაჭრობდა და რომელმაც ჯერ კარგ სიმაღლემდე აიწია ამ ვაჭრობაში, ბოლოს გაკოტრდა და ყოველივე, რაც-კი რამ ებადა, ვალში გაუყიდეს. ამას შემდეგ ჯავრისგან ლოთობას მიჰყო ხელი და საშინელ მდგომარეობამდის მიაღწია. ამის ლამაზი ცოლი-კი გაიქცა და ვიღაც ერთს ყმაწვილს ვაჭარს კაცთან სცხოვრობდა უგვირგვინოდ. თითონ დავითი დაბერდა, წელში მოიხარა, ჩამოჭკნა. თავისს დღეში „უმუშიერი“, ის ეხლა მოხუცებულობისა და უძლურების დროს თავისის შრომით და ოფლით სცხოვრობდა, ხვნეშა-ოხვრაში ატარებდა სიცოცხლეს. ხალხმაც დაჰკარგა დავითისადმი პატივისცემა.—„ძმავ, უსამართლო სიმდიდრეს ბოლო მწარე ექმნებოდა, არ იცოდა! თუ უსამართლო არ იყო, საიდან გამდიდრდა? ხელზე ტყავი არ მაქ ნამუშიერი და მაინც თავი ვერ ამიწევია, მას ერთი ოფლი არ გადმოსდენია და სასახლე გამოჭიმა! ღარიბი მწერათ აღარ მიაჩთა! იმ ბიჭს, სიმონას, მისმა საქმობამ გააცივებია ოჯახი და დააწყებია ფირალობა!“ ამბობდნენ მეზობლები ეხლა დავითის შესახებ. თავს აღარავინ უკრავდა. ეხლა სხვა დავითები და სიმონაები გამოვიდნენ სცენაზე.

ერთს ზაფხულის დილას წაბლისერში გაისმა „მოკლეს“ო. ხალხი მიეჩქარებოდა მოკლულის სანახავად და უერთდებოდა ერთს ადგილას შეჯგუფულს ქალებსა და კაცებს. ხიდისთავში, გზის პირას იდო ერთი ვაჟკაცურის სახისა და ტანის გვამი, რომელსაც შავს წვერ-ულვაშში და ლომის ფაფარსავით გადაყრილს თმაში აგერ-ეგერ თეთრი ბალანი გამორეოდა. მიცვალებულს ეტყობოდა, რომ მიმზიდველის შეხედულობის კაცი უნდა ყოფილიყო სიცოცხლეში. „ეს ორი-სამი დღის მკვდარი უნდა იყოს“ო იფიქრებდა ამ გვამის მნახველი, მაგრამ ჭრილობა და შიგ ახალი სისხლი ამტკიცეედა, რომ აი ამ საათში მოუკლავთო. ჭრილობა ჰქონდა როგორც ტყვიისა, ისე ხმლისაც. ეს გვამი გახლდათ სიმონა ძალაძისა, რომელიც ერთს დროს სამაგალითო მუშა გლეხი იყო და შემდეგ განთქმული ყაჩაღი. სიმონა მოეკლა თითონ პოლიციის „პრისტავს“ თავისის საკუთარის ხელით,—როგორც თითონ „პრისტავი“ ამბობდა, რომელიც ეხლა აქ ბძანდებოდა და ოქმსა სწერდა ამ საქმის შესახებ. როცა „პრისტავმა“ ოქმის წერა გაათავა, მიუბრუნდა ხალხს და დაუწყო ლანძღვა:—„თითონ თქვენც ასეთი „რაზბონიკები“ ხართ, ავ-კაცს ინახავთ! მე რომ გადამაყოლეთ ამის სიკვდილს, განა თითონ არ შეგეძლოთ? ორი დღე შინ აღარ გამითევია, ტყეში ვდარაჯობდი და დღეს ძლივს მოვუღე ბოლოო. ხალხი მდუმარებდა. ბევრს ტირილიც მოსდიოდა, რომ გაახსენდა „იი კაი, მარჯვე მუშა ბიჭი, სიმონაი“, მაგრამ ეშინოდა და თავს იმაგრებდა. ბოლოს ხალხმა წაიღო გვამი და დამარხა, მგონია „დაუკურთხებელს“ მიწაში.

კარგის ხნის შემდეგ, როცა „პრისტავმა“ ყაჩაღი ძალაძის სიკვდილით „ორდენი“ მიიღო, სოფელს წაბლისერში ყველამ იცოდა, რომ სიმონა არავის არ მოუკლავს, თითონ მომკვდარიყო ავადმყოფობით; მამასახლის და „პრისტავს“ მოეხერხებინათ, ეშოვნათ მიცვალებულის გვამი, დაეჭრათ, დაჭრილში ქათმის სისხლი ჩაესხათ და ამ გვარად ახალ-მოკლულად გაესაღებიათ. ერთი აზნაური დიდხანს ამბობდა: „კაი ასი მანათი ჩამითვალეს ჯიბაში,—არ გაგვამხილო“ო.

—

სიმონას ობოლი, გაბრიელა, ეხლა, კარგა ხნის ბიჭია,—მოჯამაგირობით სცხოვრობს. მამას ვერ იცნობდა, როცა უთხრეს—„მამა მოგიკლესო“, მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ ერთხელ,—მაშინ გაბრიელა ექვსის წლისა იქნებოდა,—შუაღამისას გააღვიძა ძიძამ და უთხრა—„მამა შენი მოვიდაო“. გაბრიელმა გაახილა თვალი და დაინახა ერთი შეთოფ-იარაღებული კაცი, რომელიც საკოცნელად მივიდა მასთან; მაგრამ გაბრიელა ატირდა და კოცნის ნება არ მისცა. „აი სწორედ ის კაცი მოუკლავთო“ გაიფიქრა გაბრიელმა და დავიწყებას მისცა ეს ამბავი.

ე. ნინოშვილი

1891 წ. 1 მაისს.
დ. ზესტაფონი.

ეკკლესიაში საჯაროდ წასაკითხად, რომ მთავარ-ეპისკოპოსი გადაყენებულია თავისს თანამდებობისაგანაო.

კავკასიის სომხობა უნდა იცნობდეს ხორენ ნარბეის, რადგან შარშან იგი კავკასიაში ჩამოვიდა სანასარიანცის დასაფლავებაზედ დასასწრებლად. ხორენ ნარბეი წინად კათოლიკე იყო და გრიგორიანობა მხოლოდ ამ ბოლოს დროს მიიღო. იგი აღიზარდა ვენეციის მხითარისტთა სემინარიაში და იქიდგან გაგზავნილ იქმნა პარიჟში სომეხთა კოლეგიის „მოორატის“ მმართველად, მაგრამ აქ წინამძღვართან უსიამოვნება მოუვიდა და უკანვე გაიხმეს. იმის მაგიერ, რომ თავისს მთავრობას დამორჩილებოდა, ჯავრით გრიგორიანობა მიიღო და ახალს სარბიელზედ ძლიან წინ წავიდა კიდეც. პატივმოყვარეობასა და სიხარბეს რომ არ გაეტაცნა, სასულიერო წოდების უმაღლესს ხარისხამდე მიაღწევდა. შუამდგომლობდა, რომ ნება მომეცით თავადის (დე-ლუზიანის) გვარი ვატაროო, თუმცა შეეძლო ეკკლესიის თავადობაც ჰღირსებოდა. არც სალიტერატურო ღირსებას არის მოკლებული. აქამდე ყველანი საქმიან კაცადა სთვლიდნენ. ვნახოთ, ღირსეულად აიტანს ამ სასჯელს, თუ არა...

## ბიბლიოგრაფია

„ზადიგი“, თხზულება ვოლტერისა (?), თარ. ა. ახნაზაროვის მიერ

ზადიგი ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა წინად და შემდეგ ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა. შინაარსი „ზადიგისა“ „ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან. ჩვენ სახეში არა გვაქვს ამ ნაწარმოების გარჩევა ხელოვნების მხრით. „ზადიგი“ ჩვენთვის საყურადღებოა სრულიად სხვა მხრივ. საქმე იმაში გახლავთ, რომ ახალმა გამოკვლევამ წაართვა ვოლტერს ავტორობა „ზადიგისა“ და მხოლოდ მთარგმნელის სახელი დაულოცა.

ეს გამოჩენილი მეთვრამეტე საუკუნის „ბრძენი ფერნეისა“, გათქმული თავისებურობით, დიდის ნიჭით, დღეს მეცნიერების სამსჯავროში დამნაშავეთა სკამზე ზის მობუზული. მკითხველმა იქნება არ იცოდეს და იქნება გაგონილი არც-კი ჰქონდეს, რომ ქვეყანაზე არსებობს ერთი თხზულება, სახელად „საქმენი რომაელთა“. ამ თხზულებას საშუალო საუკუნოებში დიდი ძალა ჰქონდა მთელის ევროპის ერის გონებაზე. ამ წიგნით ხელმძღვანელობდნენ ყველა გამოჩენილნი მქადაგებელნი; თავისს ქადაგებას აშენებენ იქიდამ ამოღებულს ადგილებზე... თვით დიდებულს შექსპირსაც ზოგიერთ თავის სახელოვან დრამის მასალა იქიდამა აქვს ნასესხები, მაგრამ ისე არა, რასაკვირველია, როგორც ვოლტერს ჩაუდენია. შექსპირი შემომქმედია, ის მასალას თვითონ უდგამს სულს, უბრალო გარემოებას საქმედ აქცევს, დიდებულს სურათს ჰქმნის. ვოლტერი ასე როდი მოქცეულა. იმას (იხ. Вольтеръ и „Римскія Дѣянія“ проф. Барсова, „Вѣстникъ Иностранной Литературы“ აულია და ზემოხსენებულ „საქმეთაგან“ მთლიანად გადმოუთარგმნია „ზადიგი“, რომელსაც შერრი ერთს საუკეთესო ხელოვნურ თხზულებადა სთვლის.

პროფ. ბარსოვი მთელს თხზულებას „ზადიგს“ უდარებს დედანს და სრულს მსგავსებას გვიჩვენებს. აი სხვათა შორის ბარსოვი რას ამბობს:

„კითხულობთ რა, მე-80 კარს „Римскія Дѣянія“-სას (ესტერლეის დაბეჭდილი, გვ. 396) და რუსულს თარგმანს ვიაზემსკისას კარი (2, გვ. 62—69), ძალა-უნებურად გაკვირვებული რჩებით, რადგანაც ნაცნობი ადგილი გახსენდებათ, გაგონდებათ, რომ ამისი მსგავსი წაგიკითხავთ ვოლტერის „ზადიგ“-ში. მართლაც უდარებთ ასლს ორიგინალს და უფრო გაოცებაში შესდიხართ: 20 კარი „ზადიგისა“, ამ საუკეთესო რომანისა, რომელშიაც უფრო ნათლად გამოიხატა ვოლტერის შეხედულობა მსოფლიოზე, არის გამეორება სრულიად შეუცვლელად, სიტყვა—სიტყვით „Дѣянія“-ს მე-80 კარისა.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ კონსტანტინე თავართქილაძეს, რომელმაც თავისს სტამბაში დაბეჭდილი ათი ცალი წიგნი „ამპარტავანი გიორგი“ შემოსწირა ჩემდა რწმუნებულს სკოლას ბავშვებისათვის დასარიგებლად.

ლეხაურის სამრევლო სკოლის მასწავლებელი მიხეილი კონტრიძე.

### II

გიგზავნით ვ. არო—ნის თაოსნობით ქუთაისის ერთს სავაჟო სასწავლებელში შეგროვილს 18 მან. თ. ნიკ. ბარათაშვილის ფონდის მისამატებლად.

მალაქია ბოლქვაძე.

ქუთაისი, 28 იანვარს.

## დეპეშა

3 თებერვალი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭომ დააწესა განსაზღვრული რიცხვი ნაფიც ვექილთა. მოდავეებს ნება ეძლევათ პირ-და-პირ სასამართლოსთან დაიჭირონ საქმე ვექილების უშუაკაცოდ. ვისაც ვექილი დასჭირდება, ნაფიც ვექილთა საბჭოს უნდა მიჰმართოს, ხოლო საბჭო საქმის წარმოებას მიანდობს ერთ-ერთს თავისს წევრს და კანონიერს ჯილდოსაც გადაუწყვეტავს.

გამოაცხადეს გამოცემა მეორე და უკანასკნელის საქველ-მოქმედო ლოტარიისა 6 მილ. მან.

გუშინ გრაფ შერემეტევის სახლში დაიწყო გამოფენა და გასყიდვა მხატვრულ ნაწარმოებთა და ქალების ხელ-საქმეთა, რომელიც შეწირულია მაღალის საზოგადოების მიერ დამშეულთა სასარგებლოდ.

ხმა დადის, რომ სახელმწიფო საბჭოში პროექტი წარადგინეს საგრონომიო სადგურების გამართვისა იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილასაო.

ხმა დადის, გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ ციმბირის რკინის გზის გასაყვანად მუშაობა ორის მხრიდგან აწარმოვოს—ურალიდგანა და ვლადივოსტოკიდგან. განზრახვა აქვთ წელს 400 ვერსზე გაიყვანონ გზა და ამ საგნისთვის გადადებულია 50 მილიონი მან. მთელის გზის გაყვანას 12 წელიწადი მოუნდებიან.

**ოდესსა.** მდინარე დუნაი გალხვა ტულჩასთან. ყინულიც უკვე დაიძრა. ამ დღეებში ნაოსნობის დაწყების იმედი აქვთ.

**რომი.** გუშინ ვენეციაში გარდაიცვალა შავგორეთის მთავრის დედა.

**ბერლინი** სტუმრად მოსული მემკვიდრე პრინცი შვეციისა გუშინ წაბრძანდა ბერლინიდგან.

**ბელგრადი.** აქედგან განდევნეს კორესპონდენტი ორის გერმანულ თავისუფალ აზრების მიმდევარ გაზეთისა—ვეიში, რომელიც ტყუილსა და ასაშფოთებელს ამბებს ავრცელებდა სერბიის შესახებ.

**პარიჟი.** რაც შეეხება სავაჭრო ოპერაციებს და სამრეწველო საკუთრების მფარველობას, საფრანგეთი ისეთსავე უპირატესობას აძლევს საბერძნეთს, როგორსაც სხვა ყველა უფრო სასიამოვნო და კეთილ-საიმედო სახელმწიფოს.

4 თებერვალი

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, რომ გვარდიის ყველა პოლკიდგან განსაკუთრებულის კომიტეტის განკარგულებაში დანიშნულია თითო ობერ-აფიცერი და ორ-ორიც ჯარისკაცი, რომელთაც უნდა მიიღონ და გაანაწილონ მკვიდრთა შორის დამშეულთა სასარგებლოდ მოკრეფილი შესაწირავი.

გაზეთები იუწყებიან, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა შეცვლილი სათამასუქო წესდებაო.

**რომი.** გარდაიცვალა თავად ჩერნოგორიელის დედა-კი არა, არამედ კნეინა დარინკა, თავად დანიელ I-ის ქვრივი.

**ათინა.** პირეიაში უშველებელი ბრბო ხალხისა, რომელიც განრისხებული იყო გაპროტესტანტებულ ადგილობრივ მკვიდრთა წინაამდეგ, წირვის დროს თავს დაეცა პროტესტანტთა ეკკლესიას, ძალ-მომრეობა იხმარა პასტორსა და მლოცველებზედ და ეკკლესია აიკლო. ჯარის საქმეში ჩარევა დასჭირდა. რამდენიმე კაცი დაპატიმრებულია.

**პარიჟი.** „ფიგაროს“ დეპეშით აუწყებენ ბერლინიდგან, რომ იქ ანარხისტთა შეთქმულობაა აღმოჩენილი 60 კაცია დაპატიმრებული.

პეტერბურგის ბირჟა, 31 იანვარი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 12 | 8, 15 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 162¼ | 162¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 17 | 1, 18 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა . . . . | 226 | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — ,, | 200½ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ „ „ |
| „ „ 2 | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ „ „ |
| „ „ „ 2 | „ „ „ |
| „ „ „ 3 | „ „ „ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | |
|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | კ. |
| მე-2 „ „ „ | „ „ |
| მე-3 „ „ „ | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 „ |
| „ „ 2 „ | „ |
| სუკი — — — | 14 „ |
| ცხვრის ხორცი — — | 8 „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ქერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის საბჭო.

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 8 თებერვალს, 12 საათზე, საბჭოს დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ქალაქის ქუჩების ხელახლად მოკირწყვლის იჯარით გაცემისა 1892 წელს. პირობათა შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობაში დილის 10 საათიდგან 2 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. (3—1)

**სიმრთელის კიდობანი**

ოჯახში საკითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი, შედგენილი ილია სულაქველიძისაგან და განხილული პეტერბურგში მკურნალთა რჩევაში, თითო წიგნი 1 მანეთად ისყიდება:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში, გორში — არსენ კალანდაძისაში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა და წერეთლისაში, ბათუმში—ნიკოლაძისაში და ფოთში—ძმათა ნოდიათა წიგნის მაღაზიაში, ბექათუბანში—ანდრია შათავასთან; ყვირილაში—იორდანე ცერცვაძესთან; სამტრედიაში—კონსტანტინე კაჩეიშვილთან; ნაგომარში—ა. კილურაძესთან; ფოთში—აპტოურთან.

ვინც იყიდის 20 ცალს ნაღდს ფულზე, თითო ცალი 80 კ. დაუთმობა. (8—1)

სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს სადგომში

5 თებერვალს 1892 წლისა, საღამოს 8 საათზე, ვაჭრობა მოხდება (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად იმ უძრავ ქონებისა, რომელიც შესწირა განსვენებულმა არუთინ ოქოევმა და რომელიც რიყის ქუჩაზეა, № 46.

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმებისა, დილის 10—12 საათამდე. (2—2)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—18)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**საუნჯე**

**მეათე საუკუნისა**

წერილი

მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით.

**ფასი ერთი აბაზი**

(10—0—10)

წერა-კითხვის სამმართველოში და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

**ვაი მართალთა!**

მოთხრობა ანტ. ფურცელაძისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ფასი 30 კაპ.


Дозв. ценз. Тифлисъ, 4-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.